

ნანა ღვალაძე*

საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ექსტრადიციის შესახებ ხელშეკრულება – სამართლებრივი ანალიზი და აღსრულებასთან დაკავშირებული პერსპექტივები

„საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ექსტრადიციის შესახებ ხელშეკრულება (შემდგომში – „ხელშეკრულება“)¹ უმნიშვნელოვანესი სამართლებრივ აქტია, რომელიც ექსტრადიციის პროცესის დარეგულირებას და სამართლებრივი თანამშრომლობის გაღრმავებას ისახავს მიზნად. სტატია გააანალიზებს ხელშეკრულების არსებით ასპექტებს, მათ შორის – ხელშეკრულის სახელმწიფოების მიერ საკუთარი მოქალაქეების ექსტრადიციის შესაძლებლობას, ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმებს და ექსტრადიციის პროცესში სასამართლო ინსტიტუტების როლს.

სტატიაში წარმოჩინებულია ხელშეკრულების მეშვეობით სისხლის სამართლის პროცესში საერთაშორისო თანამშრომლობისას საქართველოს შესაძლებლობების გაძლიერება, განსაკუთრებით – აშშ-დან კონკრეტული პირების გადმოცემის პროცესში. აქვე დეტალურადაა განხილული ის გამოწვევები, რომლებიც უკავშირდება ხელშეკრულების საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩოსთან და საერთაშორისო ვალდებულებებთან შესაბამისობას. სტატია ყურადღებას ამახვილებს საკუთარი მოქალაქეების ექსტრადიციაზე; ეს სიახლე, ხელშეკრულების ამოქმედების კვალდაკვალ, არსებითი ცვლილებაა სამართლებრივ ჩარჩოში.

წინამდებარე სტატიაში ხელშეკრულებით შემოთავაზებული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლეა განხილული: ექსტრადიცია დანაშაულისთვის, რომელიც სასჯელის სახით სიკვდილით დასჯას, მისი არაღსრულების გარანტიით, ითვალისწინებს. სტატიაში ასევე განხილულია სასამართლო პროცესების როლი და მტკიცებულებების წარდგენის სტანდარტი ექსტრადიციის საქმეებში, ისევე როგორც, ის სირთულეები, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას სხვადასხვა სამართლებრივი სისტემების ურთიერთქმედებისას.

საკვანძო სიტყვები: ექსტრადიცია, საქართველოს მოქალაქის ექსტრადიცია, ექსტრადიცია და ადამიანის უფლებები.

1. შესავალი

დამოუკიდებლობის აღდგენის დროიდან, საქართველოს ამერიკის შეერთებულ შტატებთან 30 წელზე მეტი ხნის მეგობრული და სტრატეგიული პარტნიორული თანამშრომლობა აკავშირებს.² ეს თანამშრომლობა ექსტრადიციასთან დაკავშირებულ ურთიერთობებსაც მოიცავს. თუმცა, საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ექსტრადიციის საკითხის განხილვისა და განხორციელების საკითხები საერთაშორისო ხელშეკრულებით ამდრომდე დარეგულირებული არ ყოფილა. დღეის მდგომარეობით ექსტრადიცია აშშ-სთან

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი.
¹ „საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ექსტრადიციის შესახებ ხელშეკრულებასთან“ დაკავშირებული ერთობლივი განცხადება, <<https://ge.usembassy.gov/ka/u-s-georgia-joint-statement-on-extradition-treaty-negotiations-ka/>> [04.03.2025].

² პირველი ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეკრულება „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის ჰუმანიტარული და ტექნიკური ეკონომიკური დახმარების ხელშეწყობისათვის თანამშრომლობის თაობაზე“, დადებულია 1992 წელს.

ხორციელდება ინდივიდუალური, ცალმხრივი შეთანხმებების საფუძველზე,³ რის გამოც საქართველო ვერ სარგებლობს იგივე უფლებებით. აშშ-ს კანონმდებლობის თანახმად, ექსტრადიცია დასაშვებია მხოლოდ მხარეებს შორის ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში.⁴ სწორედ ამიტომ, ხელშეკრულების გაფორმების დადებითი მხარე უდავოა, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ წინასწარი მოლაპარაკებები 2019 წელს დაიწყო და რამდენიმე წელი მიმდინარეობდა.

საკითხს დამატებით აქტუალობას სძენს ის გარემოებაც, რომ მიუხედავად იმისა, ხელშეკრულება ჯერ არ არის ძალაში შესული,⁵ ფორმალურად დოკუმენტის ყველა დებულება დასრულებული, შეთანხმებული და პარაფირებულია.⁶ ძალაში შესვლისთანავე, ხელშეკრულება საქართველოს საშუალებას მისცემს, აშშ-დან ექსტრადიცია მოითხოვოს, რაც ხელშეკრულების არარსებობის პირობებში შეუძლებელი იყო.

ხელშეკრულებას საქართველოს სამართლებრივ სივრცეში რამდენიმე ახალი პრინციპი შემოაქვს. ეს გახლავთ: საკუთარი მოქალაქეების ექსტრადიცია; შესაბამისი გარანტიებით, პირის ექსტრადირების შესაძლებლობა დანაშაულისთვის, რომელიც სასჯელის სახით აშშ-ს კანონმდებლობით სიკვდილით დასჯას ითვალისწინებს, ასევე, ამერიკული მხარის მიერ მოთხოვნილი – სასამართლოს წინაშე მტკიცებულებების წარდგენის განსხვავებული სტანდარტი.

შესაბამისად, წინამდებარე სტატიის უპირველესი მიზანი ხელშეკრულებით შემოთავაზებულ სიახლეთა საქართველოს სამართლებრივ ჩარჩოსა და საერთაშორისო ვალდებულებებთან თავსებადობის განსაზღვრა გახლავთ.

დოქტრინალური⁷ მეთოდოლოგიის გამოყენებით კვლევა აანალიზებს, საქართველოს ხელშეკრულების ეფექტური განხორციელებისთვის რა სახის საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება მოუწევს. სავალდებულო საკანონმდებლო ცვლილებების განხილვის პარალელურად, სტატიაში ხელშეკრულების განხორციელების პრაქტიკულ ასპექტებზეც ასევე იქნება მსჯელობა.

კვლევის მიზნებისთვის დასმული მთავარი კითხვაა – რამდენად არის საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა მზად, უზრუნველყოს ხელშეკრულების სწორად და ეფექტიანად განხორციელება. ამ კითხვაზე პასუხის გაცემის მიზნით, მსჯელობა კონცენტრირებულია ზემოაღნიშნული სამი ძირითადი საკითხის ირგვლივ. სტატია შედგება შესავალის, ძირითადი სამი თავისა და დასკვნითი ნაწილისაგან. თითოეულ თავში შემოთავაზებული მსჯელობა ხელშეკრულების მიერ ქართულ სამართლებრივ სივრცეში შემოტანილი სიახლეების წარმოჩინებას ემსახურება.

³ საქართველოს კანონი „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“, მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი, სსმ, 48, 09/08/2010.

⁴ 18 USC §§ 3181–3196. იხ.: *Factor v. Laubenheimer*, (1933), 290 US 276, 287; *United States v. Rauscher*, (1886), 119 US 407, 414.

⁵ ხელშეკრულების ძალაში შესვლას „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ესაჭიროება თანამდევ საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტთან ერთად საქართველოს პარლამენტში წარდგენა რატიფიკაციის მიზნით.

⁶ ასევე გამოცემულია საქართველოს მთავრობის შესაბამისი განკარგულება (№2205; 8.12.2023) ხელშეკრულების ხელმოწერის თაობაზე.

⁷ *Hutchinson T., Duncan N., Defining and Describing What We Do: Doctrinal Legal Research*, (2012) 17 *Deakin Law Review*, Vol. 17, №1, 2012, 83.

2. მოქალაქეთა გადაცემა ხელშეკრულების მიხედვით

წინამდებარე თავი, ნაშრომის მიზნების ჭრილში, გააანალიზებს ხელშეკრულ სახელმწიფოთა მიერ საკუთარი მოქალაქეების ექსტრადიციის საკითხის რეგულირების თავისებურებებს.⁸ საკუთარი მოქალაქეების ექსტრადიციის საკითხი კონკრეტული სახელმწიფოს სამართლებრივ ტრადიციებზე, კონსტიტუციურ პრინციპებსა და საერთაშორისო ვალდებულებებზეა დამოკიდებული. შესაბამისად, ამ საკითხის საქართველოს სამართლებრივ ჩარჩოსთან თავსებადობას გავაანალიზებთ.

ამერიკის შეერთებული შტატებისთვის მოქალაქეთა ექსტრადიცია ამ ქვეყნის მიერ გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულებების უმრავლესობაში დადგენილი სტანდარტული ჩანაწერია.⁹ აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის მტკიცებით, სამართლიანობის დაცვის სახელით, ამერიკის შეერთებულ შტატებს ნებისმიერ დროს შეუძლია თავისი მოქალაქეების ექსტრადირება, თუკი ამას საჭიროდ მიიჩნევს.¹⁰

განსხვავებულია მდგომარეობა საქართველოს შემთხვევაში, საქართველოს კონსტიტუციის 32-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საქართველოს მოქალაქის უცხო სახელმწიფოში ექსტრადირება არ შეიძლება, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. შესაბამისად, საერთაშორისო ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით, საქართველოს მოქალაქის ექსტრადიცია კონსტიტუციით აკრძალული არ არის.¹¹

თუ შეერთებული შტატებისთვის, საკუთარი მოქალაქის ექსტრადიცია სტანდარტული დაშვებაა, როგორც საერთო სამართლის სისტემის სახელმწიფოს მახასიათებელი,¹² იგი სიახლეა საქართველოსთვის. ექსტრადიციის ხელშეკრულებები შეიძლება მოიცავდეს დებულებას, რომელიც სახელმწიფოს საკუთარი მოქალაქეების ექსტრადირებისგან ათავისუფლებს.¹³ ამგვარი აკრძალვა შესაძლოა იყოს როგორც აბსოლუტური, ასევე – დისკრეციული.¹⁴ აკრძალვის აბსოლუტური ფორმა იმპერატიულად კრძალავს მოქალაქეების გადაცემას, ხოლო დისკრეციული ფორმა პირდაპირ არ ითვალისწინებს მოქალაქეთა ექსტრადირების ვალდებუ-

⁸ ხელშეკრულების მე-3 მუხლის თანახმად, „დაუშვებელია ექსტრადიციაზე უარი ძეგნილი პირის მოქალაქეობის საფუძველით.“

⁹ ამერიკის შეერთებული შტატები მსგავს ჩანაწერს იყენებს ძირითადად ყველა ორმხრივ საექსტრადიციო ხელშეკრულებებში. შედარებისთვის იხ.: Protocol on the application of the Agreement on Extradition between the United States of America and the European Union to the Extradition Treaty between the Government of the United States of America and the Government of the Republic of Lithuania, signed 15 June 2005, Article 3; <<https://www.state.gov/wp-content/uploads/2019/02/10-201.14-Lithuania-EU-Extradition-Treaty.pdf>> [28.02.2025]. Extradition Treaty Between The Government of the United States of America and The Government of the Republic of Latvia, signed 7 December 2005, Article 3; <<https://2021-2025.state.gov/wp-content/uploads/2019/02/09-415-Latvia-Extradition-Treaty.pdf>> [28.02.2025]. Extradition Treaty Between The Government of the United States of America and The Government of the Republic of Estonia, signed 8 February 2006, Article 3. <<https://www.state.gov/wp-content/uploads/2019/02/09-407-Estonia-Extradition-Treaty.pdf>> [28.02.2025].

¹⁰ Plachta M., (Non-)Extradition of Nationals: A Never-ending Story?, Emory International Law Review, Vol. 13, №1 1999, 77, 97-98.

¹¹ საქართველოს კონსტიტუცია, 32-ე მუხლის, მე-5 პუნქტი, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995. საქართველოს კანონი „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“, 21-ე მუხლი, სსმ, 48, 09/08/2010.

¹² Kester J.G., Some Myths of United States Extradition Law, Georgetown Law Journal Vol. 76, №4, 1998, 1441, 1443.

¹³ Bassiouni M. C., International Extradition United States Law and Practice, 6th ed., Oxford, 2014, 744-45.

¹⁴ იქვე.

ლებას, თუმცა, ამგვარ გადაწყვეტილებას თხოვნის მიმღები სახელმწიფოს დისკრეციის ფარგლებში ტოვებს.¹⁵

რაც შეეხება საერთაშორისო შეთანხმებებს: ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად,¹⁶ მხარეები ზოგადად სარგებლობენ დისკრეციული უფლებით, უარი თქვან მოქალაქეთა ექსტრადიციზე.¹⁷ კონვენციის ამავე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს დეკლარაციით დატოვებული აქვს უფლება, თავად გადაწყვიტოს, გადასცეს თუ არა უცხო სახელმწიფოს საკუთარი მოქალაქეები ნაცვალგების პრინციპის საფუძველზე.¹⁸ შესაბამისად გამოდის, რომ ნაცვალგების¹⁹ საფუძველზე საქართველო თანახმაა განიხილოს მოქალაქეთა ექსტრადიცია უცხო სახელმწიფოში. აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ კონსტიტუციის ზემოაღნიშნული ჩანაწერის მიუხედავად, საქართველოს კანონმდებლობით, დასაშვებია საქართველოს მოქალაქის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთვის გადაცემა.²⁰

დეკლარაცია საერთაშორისო ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია; ხოლო საერთაშორისო ხელშეკრულებას, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, „თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას ან კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიმართ.“²¹ შესაბამისად, თეორიულად, დეკლარაცია მოქალაქეთა ექსტრადიციის სამართლებრივ საფუძველს იძლევა. ზოგადად, თითოეული ექსტრადიციის მოთხოვნა ეროვნულ დონეზე საჭიროებს ზედმიწევნით სკრუპულოზულ განხილვას, რათა თავიდან იქნეს აცილებული უარყოფითი შედეგების მომტანი ექსტრადიციები.²² სწორედ აღნიშნულითაა ნასაზრდოები დეკლარაციით მინიჭებული ზემოაღნიშნული დისკრეციული უფლებამოსილება.

განსხვავებულია სამართლებრივი რეგულირება „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით, რომელიც ადგენს, რომ თუ ექსტრადიციისთვის დაკავებული პირი აღმოჩნდება საქართველოს მოქალაქე, ის დაუყოვნებ-

¹⁵ Chhabra S., Nationality and Extradition, RGNUL Law Review, Vol. 4, №2, 2016, 1, 3.

¹⁶ საქართველო ხელშემკრელი მხარეა 2000 წლის 22 მარტიდან, ხელმოწერების და რატიფიკირების სია იხ.: <<https://www.coe.int/en/web/conventions/full-list?module=signatures-by-treaty&treatynum=024>> [28.02.2025].

¹⁷ Staker C., Jurisdiction, in Evans M.D. (ed.), International Law, 5th ed., Oxford, 2014, 299-01.

¹⁸ სარატიფიკაციო ინსტრუმენტთან ერთად წარდგენილ დეკლარაციაში, რომელიც დეპონირებულია 2001 წლის 15 ივნისს, აღნიშნულია, რომ კონვენციის მიზნებიდან გამომდინარე „ამ კონვენციის მიზნებისათვის, საქართველოს მთავრობა იტოვებს უფლებას გადაწყვიტოს თავისი მოქალაქეების ექსტრადიცია ნაცვალგების პრინციპის საფუძველზე და უარი თქვას მათ ექსტრადირებაზე საზოგადოებრივი მორალის, საჯარო პოლიტიკისა და სახელმწიფო უსაფრთხოების ნიშნით.“ იხ.: <<https://www.coe.int/en/web/conventions/full-list?module=declarations-by-treaty&numSte=024&codeNature=10&codePays=GEO>> [28.02.2025].

¹⁹ Parisi F., Ghei N., The Role of Reciprocity in International Law, Cornell International Law Journal, Vol 36, №1, 2003, 93, 119-21.

²⁰ საქართველოს კანონი „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ“, მე-20 მუხლის მე-3 პუნქტი, სსმ 26, 20/08/2003.

²¹ საქართველოს კონსტიტუცია, მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995. საერთაშორისო ხელშეკრულებების უპირატესი იურიდიულ ძალაზე ასევე იხ.: Cassese A., International Law, 2nd ed., Oxford, 2005, 213-22.

²² Blekxtoon R., Zsuzsanna D.R., The Decline of the Nationality Exception in European Extradition? The Impact of the Regulation of (Non-)Surrender of Nationals and Dual Criminality under the European Arrest Warrant, European Journal of Crime, Criminal Law and Criminal Justice, Vol. 13, №3, 2005, 317, 318-20.

ლივ უნდა გათავისუფლდეს.²³ უფრო მეტიც, მოქალაქეობა აღნიშნული კანონისა და შიდა სამართლებრივი პრაქტიკის თანახმად, განიხილება პირის უცხო სახელმწიფოში გადაცემის გამომრიცხავ კანონისმიერ გარემოებად, რაც ასევე ზღუდავს შესაბამის მაგისტრატ მოსამართლესთან პროკურორის მიერ შუამდგომლობის შეტანის უფლებამოსილებას.²⁴

ექსტრადიციის კონვენციით გათვალისწინებული დეკლარაციისა თუ საქართველოს კონსტიტუციური ნორმის განმარტების მიუხედავად, საქართველოს მოქალაქეების ექსტრადიციის განხორციელების შიდასაკანონმდებლო პროცედურული თუ სამართლებრივი მექანიზმი არ არსებობს. შესაბამისად, ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე, მოქალაქის ექსტრადიციის პრინციპის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ცვლილებას დაექვემდებარება ეროვნული კანონმდებლობის ზემოხსენებული დებულებები.²⁵

ხელშეკრულებით შექმნილი ეს პრეცედენტი, ააშკარავებს დამატებითი მექანიზმების შემუშავების განხილვის აუცილებლობას პოტენციური გამოწვევებისა და სირთულეების გადასაჭრელად. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს უფრო დეტალური პროცედურული სახელმძღვანელოების შექმნას იმ საქმეების განხილვისთვის, როდესაც მოქალაქეების ექსტრადიცია ეწინააღმდეგება კონსტიტუციურ დაცვას ან ადამიანის უფლებათა ვალდებულებებს.²⁶ ამ ზომებმა უნდა უზრუნველყოს, ხელშეკრულების აღსრულების ეფექტურობა, გახადოს იგი ადაპტირებადი განვითარებული სამართლებრივი, პოლიტიკური და პრაქტიკული მოსაზრებების მიმართ,²⁷ რაც საბოლოოდ გააძლიერებს მის მთლიან სტრუქტურას და ფუნქციონირებას.

საქართველოს მოქალაქეთა ექსტრადიცია, შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩოს არსებობის პირობებში, არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციურ ნორმებსა და საერთაშორისო ვალდებულებებს. აღნიშნული პრინციპის იმპლემენტაცია საჭიროებს შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებებს.

3. ადამიანის უფლებების დაცვა ხელშეკრულების მიხედვით

შესაბამისი გარანტიებით, პირის ექსტრადირების შესაძლებლობა დანაშაულისთვის, რომელიც სასჯელის სახით აშშ-ს კანონმდებლობით ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას, მეორე პრეცედენტული სიახლეა ქართული სამართლებრივი სისტემისთვის. ადამიანის უფლებების დაცვის საკითხები ექსტრადიციის პროცესში ყველაზე კრიტიკულ ფაქტორებს შორისაა. ადამიანის უფლებების სავარაუდო დარღვევის რისკის აღმოსაფხვრელად, სიცოცხლის უფლება, წამების და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან სასჯელის აკრძალვა, სამართლიანი სასამართლოს უფლება და პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება, უნდა იყოს შეფასებული იმდაგვარად, რომ ექსტრადიციის პროცესს არ მოჰყვეს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევა.²⁸ სტატიის ეს ნაწილი აფასებს ხელშეკრუ-

²³ საქართველოს კანონი „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“, 30-ე მუხლის მე-13 პუნქტი, სსმ, 48, 09/08/2010.

²⁴ იქვე, 34-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

²⁵ საქართველოს კანონი „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“, მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის ე“ ქვეპუნქტი და მე-15 მუხლის მე-4 პუნქტი, პარლამენტის უწყებანი, 44, 11/11/1997.

²⁶ Cassese A., *International Law*, 2nd ed., Oxford, 2005, 222-23.

²⁷ Sorensen, J. S., *The Interplay Between the Executive and Judicial Branches in Extradition, Litigation*, Vol. 40, №4, 2014, 60, 61.

²⁸ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-2, მე-3, მე-5, მე-6 და მე-8 მუხლები, ასევე მათ შორის შემდეგი სასამართლო გადაწყვეტილებები: *Soering v. United Kingdom*

ლების განხორციელებისას ადამიანის უფლებების დარღვევის შესაძლო რისკებს და ეძებს გამოსავალს მათი პრევენციისა და მინიმიზაციისთვის.

ნიშანდობლივია, რომ ხელშეკრულება, ცალკე აღებული, არ ეხება ადამიანის უფლებებს; თუმცა, პრეამბულაში ნათქვამია, რომ სათანადო ყურადღება ეთმობა პირთა უფლებებს, რომლებიც გარანტირებულია მხარეთა შესაბამისი სამართლებრივი სისტემებით.²⁹

ხელშეკრულება იქნება პირველი შეთანხმება, როდესაც საქართველო პირდაპირ არ გამოიცხავს სისხლის სამართლის საკითხებში სახელმწიფოსთან თანამშრომლობას, სადაც კონკრეტული დანაშაული, რომლისთვისაც მოთხოვნილია პირის ექსტრადიცია, სასჯელის სახით ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას.³⁰

აქვე დადგენილია პირობა, თუკი დანაშაული, რომელის გამო მოთხოვნილია ექსტრადიცია, ისჯება სიკვდილით ექსტრადიციის მოთხოვნის გამომგზავნ სახელმწიფოში, თხოვნის მიმღები სახელმწიფოს აღმასრულებელ ხელისუფლებას შეუძლია უარი განაცხადოს ექსტრადიციაზე, თუ თხოვნის წარმდგენი სახელმწიფო არ იძლევა გარანტიას რომ სიკვდილით დასჯა არ იქნება გამოყენებული, ან, თუ იქნება – არ აღსრულდება.³¹

აღნიშნულ დებულებას აქვს რამდენიმე პრობლემური განზომილება. პირველ რიგში არსებობს აღმასრულებელი ხელისუფლების უფლება და არა ვალდებულება, უარი თქვას ექსტრადიციაზე კონკრეტულ გარემოებებში.

მეორე, საქართველო არის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების, რომელიც ეხება სიკვდილით დასჯის გაუქმებას ნებისმიერ ვითარებაში, ხელშემკრელი მხარე,³² ამ დებულებებით საერთაშორისო ვალდებულებების აღებამდე კი, 1997 წლიდან,

[1989] ECHR (Ser. A.), 161.; *Mamatkulov and Askarov v. Turkey* [2005] ECHR; *Othman (Abu Qatada) v. the United Kingdom* [2012] ECHR; *Kirkwood v. United Kingdom* [1984] ECHR; *Chahal v. the United Kingdom* [1996] ECHR.

²⁹ სხვადასხვა ორმხრივ საექსტრადიციო ხელშეკრულებებში, ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტი დარეგულირებულია სხვადასხვანაირად, იხ.: Protocol on the application of the Agreement on Extradition between the United States of America and the European Union to the Extradition Treaty between the Government of the United States of America and the Government of the Republic of Lithuania, signed 15 June 2005; <<https://www.state.gov/wp-content/uploads/2019/02/10-201.14-Lithuania-EU-Extradition-Treaty.pdf>> [28.02.2025] Extradition Treaty Between The Government of the United States of America and The Government of the Republic of Latvia, signed 7 December 2005; <<https://2021-2025.state.gov/wp-content/uploads/2019/02/09-415-Latvia-Extradition-Treaty.pdf>> [28.02.2025]. Extradition Treaty Between The Government of the United States of America and The Government of the Republic of Estonia, signed 8 February 2006. <<https://www.state.gov/wp-content/uploads/2019/02/09-407-Estonia-Extradition-Treaty.pdf>> [28.02.2025].

³⁰ ხელშეკრულების მე-7 მუხლის თანახმად: „როდესაც დანაშაული, რომელთან დაკავშირებითაც მოითხოვება ექსტრადიცია, შუამდგომლობის ინიციატორი სახელმწიფოს კანონმდებლობით ისჯება სიკვდილით და შუამდგომლობის მიმღების სახელმწიფოს კანონმდებლობა ამ დანაშაულისათვის არ ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას, შუამდგომლობის მიმღები სახელმწიფოს აღმასრულებელ უწყებას შეუძლია, უარი თქვას ექსტრადიციაზე გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შუამდგომლობის ინიციატორი სახელმწიფო შუამდგომლობის მიმღები სახელმწიფოს აღმასრულებელ უწყებას წარუდგენს გარანტიას, რომ არ დაინიშნება სიკვდილით დასჯა, ან თუ პროცედურული მიზეზების გამო, შუამდგომლობის ინიციატორი სახელმწიფოს მიერ ამგვარი გარანტიის წარდგენა შეუძლებელია, წარუდგენს გარანტიას, რომ სიკვდილით დასჯის დანიშვნის შემთხვევაში, იგი არ აღსრულდება. თუ შუამდგომლობის ინიციატორი სახელმწიფო წარუდგენს გარანტიას ამ მუხლის შესაბამისად, შუამდგომლობის მიმღებმა სახელმწიფომ უნდა დააკმაყოფილოს ექსტრადიცია და შუამდგომლობის ინიციატორმა სახელმწიფომ უნდა შეასრულოს გარანტია.“

³¹ იქვე.

³² Protocol No. 6 to the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms concerning the Abolition of the Death Penalty, European Treaty Series, 1983, 114, (საქართველომ ხელი მოაწერა 1999

ეროვნული კანონმდებლობით გაუქმებული აქვს სიკვდილით დასჯა.³³ ამასთან, ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენცია ასევე იძლევა საქართველოსა და აშშ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მსგავსი ფორმულირების შესაძლებლობას,³⁴ რაზეც საქართველოს არანაირი დათქმა თუ დეკლარაცია გაკეთებული არ აქვს.

უფრო მეტიც, მოქმედი კანონმდებლობით, პირდაპირაა გათვალისწინებული, რომ ექსტრადიცია არ შეიძლება განხორციელდეს, თუ დანაშაული, რომლისთვისაც მოთხოვნილია პირის ექსტრადიცია, ისჯება სიკვდილით თხოვნის წარმდგენ სახელმწიფოში.³⁵ აღნიშნული ნორმატიული ჩანაწერი დაექვემდებარება ცვლილებას ხელშეკრულების რატიფიცირების პროცესში,³⁶ თუმცა, ბუნდოვანია, რამდენად გავრცელდება მხოლოდ ამერიკასა და საქართველოს შორის საექსტრადიციო ურთიერთობებზე, თუ სხვა ისეთი სახელმწიფოებიც შეიძლება მოიცვას, სადაც სანქციის სახით სიკვდილით დასჯა მოქმედებს. აქვე, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმის აღიარებასაც, რომ სიკვდილით დასჯა კვლავ აღსრულდება აშშ-ს ზოგიერთ შტატში.³⁷

ფრთხილადაა შესაფასებელი პირთა ექსტრადირებასთან დაკავშირებული და იმ დანაშაულებისთვის წარმოსადგენი გარანტიებიც, რამაც შეიძლება სიკვდილით დასჯა გამოიწვიოს.³⁸ თხოვნის მიმღები სახელმწიფოს მათ შორის – ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულებების – შესრულება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ამ სახელმწიფოს გაუქმებული აქვს სიკვდილით დასჯა ან აქვს მკაცრი სამართლებრივი დებულებები მისი გამოყენების წინააღმდეგ.³⁹ ამ გარანტიების შემოწმება არ არის მხოლოდ იურიდიული ფორმალობა, არამედ იგი ასახავს საერთაშორისო სამართლის ნორმების კომპლექსურ ურთიერთქმედებას,⁴⁰ რაც გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა სტანდარტებიდან და ორმხრივი ან მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან. იგი გულისხმობს სამართლიანობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების დაბალანსებას, მათ შორის, მძიმე დანაშაულებებისთვის, ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვით, როგორიცაა სიცოცხლის უფლება და სასტიკი და უჩვეულო სასჯელის აკრძალვა.⁴¹

და ნევრია 2000 წლიდან); Protocol No. 13 to the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, concerning the abolition of the death penalty in all circumstances, European Treaty Series, 2002, 187, (საქართველომ ხელი მოაწერა 2002 და ხელშეკრული სახელმწიფოა 2003 წლიდან).

³³ საქართველოს კანონი „სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების – სიკვდილით დასჯის სრული გაუქმების შესახებ“, პარლამენტის უწყებანი, 45, 21/11/1997.

³⁴ European Convention on Extradition, European Treaty Series, 1957, 24 (საქართველოსთვის ძალაშია 2001 წლის 13 სექტემბრიდან).

³⁵ საქართველოს კანონი „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“, 22-ე მუხლი, სსმ, 48, 09/08/2010.

³⁶ საქართველოს კანონი „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“, მე-15 მუხლის მე-4 პუნქტი, პარლამენტის უწყებანი, 44, 11/11/1997.

³⁷ Clarke A., Terrorism, Extradition, and the Death Penalty, William Mitchell Law Review, Vol. 29, №3, 2003, 783, 793-98.

³⁸ Drake S. K., Dangerous Precedents: Circumventing Extradition to Implement the Death Penalty, Suffolk Transnational Law Review, Vol. 36, №2, 2013, 333, 342-43.

³⁹ Beltran M. B., Martin A. N., Post 9/11 Trends in International Judicial Cooperation Human Rights as a Constraint on Extradition in Death Penalty Cases, Journal of International Criminal Justice, Vol. 10, №3, 2012, 581, 584-87.

⁴⁰ Gregg R., The European Tendency toward Non-Extradition to the United States in Capital Cases: Treads, Assurances, and Breaches of Duty, Miami International and Comparative Law Review, Vol. 10, №1, 2002, 113, 123-28.

⁴¹ Harkins and Edwards v. United Kingdom, [2012] ECHR140-41.

ზედმიწვევით უნდა იქნას განხილული ეს გარანტიები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს, რომ ისინი კონკრეტული, სამართლებრივად სავალდებულოა და მისი აღსრულება ისეა შესაძლებელი, რომ დაცულ იქნენ ინდივიდები ადამიანის უფლებების პოტენციური დარღვევებისგან.⁴² ეს მოთხოვნა გადამწყვეტია თხოვნის მიმღები სახელმწიფოს სამართლებრივი ვალდებულებების მთლიანობის შესანარჩუნებლად და ექსტრადიციის ხელშეკრულებაში მონაწილე ქვეყნებს შორის ურთიერთნდობისა და თანამშრომლობის გასაძლიერებლად.⁴³ აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების ხსენებული დებულება გავრცელდება მხოლოდ საქართველოდან ექსტრადიციებზე და არა პირიქით. შესაბამისად, მხოლოდ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლება იქნება უფლებამოსილი, მოითხოვოს გარანტია, რომ სიკვდილით დასჯა არ იქნება გამოყენებული ან, თუ იქნება, არ აღსრულდება და იგი ასევე გავრცელდება საქართველოს მოქალაქეების ექსტრადიციაზე.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, უდავო ფაქტია, რომ როდესაც აშშ იძლევა გარანტიას, რომ არ გამოიყენებს ან გამოყენების შემთხვევაში, არ აღასრულებს სიკვდილით დასჯას, ის მუდმივად ასრულებს ამ ვალდებულებებს.⁴⁴ თუმცა, სხვები მიიჩნევენ, რომ დიპლომატიური გარანტიები შეიძლება შეფასდეს, როგორც იურიდიულად არასანდო, რადგან არსებობს სხვადასხვა მტკიცებულება, რომ გარანტიების მიუხედავად ექსტრადირებული პირები დაექვემდებარნენ წამებასთან გათანაბრებულ მძიმე მოპყრობას.⁴⁵ აქვე ღია კითხვაა, პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას, რამდენად შესწევს სამართალს უნარი, შეზღუდოს სახელმწიფოების მოქმედებები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არსებობს პოლიტიკური უთანასწორობა?⁴⁶

ამ ეტაპისთვის რთულია იმის ვარაუდი, რა იქნება საქართველოს შემთხვევაში და რა ინსტრუმენტებით შეიძლება აღიჭურვოს ქართული მხარე რისკების მინიმიზაციის თვალსაზრისით. თუმცა ფაქტია, აღმასრულებელმა ხელისუფლებამ მიიღო აღნიშნული გადაწყვეტილება და, შესაბამისად, მოუწევს ზიდოს შედეგების სამართლებრივი თუ პოლიტიკური ტვირთიც.

სიკვდილით დასჯის, როგორც ექსტრადიციაზე უარის კანონისმიერი საფუძვლის, საკანონმდებლო ცვლილება იქნება გარდაუვალი ხელშეკრულების ძალაში შესვლისთვის. აღნიშნული ცვლილება არ არის თავსებადი საქართველოს სამართლებრივ ჩარჩოსთან, თუმცა სასჯელის არაღსრულების გარანტიის წარმოდგენამ და შემდგომ მათმა შესრულებამ უნდა დააბალანსოს სამართლებრივი შეუსაბამობა.

4. ექსტრადიციის განხორციელების ინსტიტუციური მექანიზმი და მტკიცებულების წარდგენის სტანდარტი

სტატიის ამ ნაწილში გაანალიზდება ზოგადად სასამართლოს როლი ექსტრადიციებისას და ხელშეკრულებით დადგენილი მტკიცებულების წარდგენის სტანდარტი აშშ-სთან ექსტრა-

⁴² Gregg R., The European Tendency toward Non-Extradition to the United States in Capital Cases: Treads, Assurances, and Breaches of Duty, Miami International and Comparative Law Review, Vol. 10, №1, 2002, 113, 123-25.

⁴³ იქვე.

⁴⁴ იქვე, 127-28.

⁴⁵ Hawkins K. R., The Promises of Torturers: Diplomatic Assurances and the Legality of Rendition, Georgetown Immigration Law Journal, Vol. 20, №2, 2006, 213, 217.

⁴⁶ ხუციშვილი ქ., ექსტრადიციისა და დეპორტაციის საკითხი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მიხედვით, კრებულში: ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე კორკელია კ. (რედ.), თბილისი, 2006, 313, 334.

დიციისას. შეფასდება ასევე ხელშეკრულების განხორციელების პროცესში წამოჭრილი შესაძლო პრაქტიკული სირთულეები.

ხელშეკრულება არის პირველი ორმხრივი საექსტრადიციო შეთანხმება, რომელსაც საქართველო აფორმებს საერთო სამართლის სახელმწიფოსთან, სადაც სასამართლო მოწყობის განსხვავებული სისტემა მოქმედებს, ხოლო სამართლებრივ საკითხებში სასამართლოები ასრულებენ უფრო აქტიურ და ინტერპრეტაციულ ფუნქციას.⁴⁷

ექსტრადიცია, საქართველოს კანონმდებლობით, ნახევრად სამართლებრივი პროცედურაა.⁴⁸ თუმცა, საკამათოა, არის თუ არა ამ პროცესში სამართლებრივი მდგენელი პოლიტიკურზე მეტი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ექსტრადიციასთან დაკავშირებულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების ძალიან მოკლე გამოკვლევა ცხადყოფს, რომ საქმეთა თითქმის აბსოლუტურ უმრავლესობაში ხდება პროკურორის შუამდგომლობების დაკმაყოფილება.⁴⁹ სასამართლო გადაწყვეტილებებს აქვთ ერთი და იგივე სტრუქტურა ფორმისა თუ მდგენელის თვალსაზრისით და იმეორებენ ერთსა და იმავე შინაარსს ყველა პუნქტში.⁵⁰ ეს კი თავის მხრივ, ნათლად ასახავს პროცესის ფორმალისტურ მიდგომას, სადაც, როგორც ჩანს, აქცენტი უფრო მეტად კეთდება პროცედურულ შესაბამისობასა და ერთგვაროვნებაზე, ვიდრე არსებით სამართლებრივ ანალიზზე ან თითოეული საქმის უნიკალური ასპექტების ინდივიდუალურ განხილვაზე.

აღნიშნული ასევე შესაძლოა აიხსნას იმითაც, რომ ექსტრადიციის პროცესი არ საჭიროებს სრულად შეესაბამებოდეს სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნებს, რადგან ის არ უტოლდება სამოქალაქო უფლებების, მოვალეობების ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დადგენას.⁵¹ საქართველოს საექსტრადიციო განხილვების მტკიცებულებების წარმოდგენის სტანდარტი განსხვავდება სასამართლო განხილვის შეზღუდული სფეროს გამო.⁵² ექსტრადიციის საქმის განხილვისას სასამართლოს მთავარი როლი არის ექსტრადიციის მოთხოვნის კანონიერების შეფასება და ამ პროცესში ფუნდამენტური უფლებების დაცვის უზრუნველყოფა და არა იმის დადგენა, არის თუ არა საკმარისი მტკიცებულებები ბრალის დასადასტურებლად.⁵³

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ექსტრადიციის განხილვები არ არის ტიპური სისხლის სამართლის პროცესი, რომელიც ორიენტირებულია დანაშაულის ან უდანაშაულობის დადგე-

⁴⁷ Lomio P. J., Spang-Hanssen H., Wilson G. D., *Legal Research Methods in a Modern World: A Coursebook*, 3rd ed., Copenhagen, 2011, 11.

⁴⁸ საქართველოს კანონი „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“, 34-ე მუხლი, სსმ, 48, 09/08/2010.

⁴⁹ ოფიციალური სტატისტიკა, რაც აღნიშნულს დაადასტურებდა არ არსებობს. თუმცა, მრავალწლიანი გამოცდილების მქონე ექსპერტები ვერ იხსენებენ ერთზე მეტ შემთხვევას, როდესაც სასამართლომ გადაწყვეტილება გააუქმა მას შემდეგ, რაც ექსტრადიციის საქმეების სასამართლოში მიმართვა სავალდებულო გახდა.

⁵⁰ <<https://www.supremecourt.ge/ka/cases>> [28.02.2025].

⁵¹ Langford P., *Extradition and fundamental rights: the perspective of the European Court of Human Rights*, *The International Journal of Human Rights*, Vol. 13, №4, 2009, 512, 516.

⁵² საპროცესო ღონისძიებები, როგორცაა მოწმეების დაკითხვა, საქმის ჯვარედინი დაკითხვა, მტკიცებულებების წარდგენა და გამოთხოვა და სხვა ქმედებები, რომლებიც დაკავშირებულია ბრალდების დამტკიცებასთან საქმის არსებითი განხილვის დროს.

⁵³ Arnell P., Davies G., *The Forum Bar in UK Extradition Law: An Unnecessary Failure*, *The Journal of Criminal Law*, Vol. 84, №2, 2020, 142, 143.

ნაზე ან სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეფასებაზე,⁵⁴ სამართლიანობისა და კანონიერების შესანარჩუნებლად, მათზე მაინც ვრცელდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი მოთხოვნები, რომელიც თავის მხრივ შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დადგენილ სტანდარტებს.⁵⁵

სასამართლო გადაწყვეტილებებს განსხვავებული დატვირთვა აქვს პრეცედენტებზე დაფუძნებულ სისტემებში. მნიშვნელოვანია განვასხვავოთ სასამართლოს მიერ დადგენილი წესი და კონკრეტული წესი (კანონის მიერ დადგენილი), რომელიც გამოიყენება მის გადაწყვეტილებაში.⁵⁶ ამ ელემენტების გაგება მოითხოვს იმის აღიარებას, რომ სახელმწიფოს მიერ აღსრულებული წესები არ არის კანონის ერთადერთი წყარო.⁵⁷ საქსტრადიციო პროცედურებს, სასამართლოს მონაწილეობის ასპექტში, ასევე გამოარჩევს ისიც, რომ ექსტრადიციის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება პოლიტიკური ორგანოს მიერ,⁵⁸ ანუ სახეზე გვაქვს სასამართლო გადაწყვეტილების არასაბოლოო ბუნება. ეს პროცედურული და შეზღუდული როლი წააგავს კვაზი-სასამართლო პროცესებს, სადაც გადაწყვეტილების მიმღები ორგანო წვეტს საკითხებს შეზღუდულ ფარგლებში, ხაზს უსვამს სამართლებრივ სტანდარტებთან შესაბამისობას და არ შედის არსებით შეფასებასა თუ განხილვაში.⁵⁹ მაშინაც კი, თუ სასამართლო მიიღებს დადებით გადაწყვეტილებას ექსტრადიციასთან დაკავშირებით, აღმასრულებელი ხელისუფლება ინარჩუნებს უფლებამოსილებას, გააუქმოს იგი და გადაწყვიტოს, არ მოახდინოს პირის ექსტრადიცია.⁶⁰

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი შეეხება მტკიცებულების განსხვავებული სტანდარტით იდენტიფიცირებას.⁶¹ ექსტრადიციის მოთხოვნები მიემართება ორი კატეგორიის პირის მიმართ: ბრალდებულების, რომელთა საქმეც სასამართლოს ჯერ არ განუხილავს და მსჯავრდებულების, რომელთაც უნდა მოიხადონ სასჯელი.⁶² შესაბამისად, სასამართლო ხელისუფლების ჩართულობა უნდა გაანალიზდეს ბრალდებულთან და არა მსჯავრდებულთან მიმართებით, რადგან საპროცესო უფლებებთან დაკავშირებით სასამართლო პროცესი დასრულებულია მსჯავრდებულის შემთხვევაში.⁶³

საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ექსტრადიციის სხდომის დროს მტკიცებულებების მიწოდების იმ სტანდარტს, რომელიც შესაძლოა, მოთხოვნილ იყოს აშშ-ს

⁵⁴ Kester J.G., Some Myths of United States Extradition Law, Georgetown Law Journal, Vol. 76, №4, 1988, 1441, 1444-47.

⁵⁵ იხილეთ საქართველოს მიერ ევროპული კონვენციის დარღვევის სტატისტიკა, მათ შორის კონვენციის მე-6 მუხლთან მიმართებით, <https://www.echr.coe.int/documents/d/echr/cp_georgia_eng> [28.02.2025].

⁵⁶ Lomio P. J., Spang-Hanssen H., Wilson G. D., Legal Research Methods in a Modern World: A Coursebook, 3rd ed., Copenhagen, 2011, 63.

⁵⁷ იქვე.

⁵⁸ საქართველოს კანონი „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“, 34-ე მუხლი, სსმ, 48, 09/08/2010.

⁵⁹ Koh S. A., Core Criminal Procedure, Minnesota Law Review, Vol. 105, №1, 2020, 251, 279.

⁶⁰ საქართველოს კანონი „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“, 34-ე მუხლის, მე-13-15 პუნქტები, სსმ, 48, 09/08/2010.

⁶¹ არსებობს სამი საფუძველი, როდესაც მოითხოვება პირის ექსტრადიცია: ბრალდებულის, მსჯავრდებულის და დაუსწრებელი გადაწყვეტილებები (*in absentia extraditions*), რომლებიც შეიძლება სასამართლოში წარიმართოს ექსტრადირების შემთხვევაში. სტატიაში საუბარია ბრალდებულის ექსტრადიციასზე.

⁶² Arnell P., The Contrasting Evolution of the Right to a Fair Trial in UK Extradition Law, The international journal of human rights, Vol. 22, №7, 2018, 869, 871-72.

⁶³ იქვე.

სასამართლოების მიერ. ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ თხოვნის გამგზავნმა სახელმწიფომ (ამ შემთხვევაში საქართველომ) ექსტრადირებისთვის საჭირო დოკუმენტაციის წარდგენისას, მათ შორის, უნდა წარადგინოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც იძლევა გონივრულ საფუძველს იმის დასაჯერებლად, რომ პირმა ჩაიდინა სავარაუდო დანაშაულ(ებ)ი.⁶⁴

თუმცა, იგივე სტანდარტი არ იქნება გამოყენებული საპირისპირო შემთხვევებში, ერთი მხრივ, იმ არგუმენტით, რომ საქართველოში საექსტრადიციო პატიმრობის ვადა მაქსიმუმ 9 თვეა,⁶⁵ რაც არასაკმარისი პერიოდია ყველა პროცედურის ჩასატარებლად, ხოლო მეორე მხრივ, საქართველოს კანონმდებლობით არაა მოთხოვნილი ამგვარი სტანდარტი.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სასამართლოს მონაწილეობა საექსტრადიციო პროცედურებში ლიმიტირებულია⁶⁶ და ამ თვალსაზრისით, არ იკვეთება არც განზრახვა რამე ტიპის საკანონმდებლო ცვლილებებისა. უფრო მეტიც, არც სამართლებრივი აქტი და არც პრაქტიკა, არ განსაზღვრავს იმ პრინციპებს, რომლითაც სასამართლო ხელმძღვანელობს ექსტრადიციის სხდომაზე. აშშ-სთან თანამშრომლობის თვალსაზრისით, სადაც სანქციები განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებისთვის არის მკაცრი,⁶⁷ ისევე როგორც, სანქციების სახით უვადო პატიმრობის გამოყენების კონტექსტში,⁶⁸ აუცილებლად უნდა იქნეს განსაზღვრული რა კონკრეტული ღონისძიებები გატარდება საქართველოს მხრიდან, მაგალითად საკონსულო დაცვის თვალსაზრისით, საქართველოს მოქალაქეების ექსტრადიციისას.

საექსტრადიციო პროცედურების განხორციელებისას სასამართლოს როლის გაძლიერებას სხვა გრძელვადიანი უპირატესობის მომტანიცაა. სტანდარტები, რომლებიც დადგინდება აშშ-სთან დადებული ხელშეკრულების განხორციელებით, ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას მსგავსი ხელშეკრულებების გაფორმებისას საერთო სამართლის სისტემის სხვა სახელმწიფოებთან.

⁶⁴ ხელშეკრულების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტში ვკითხულობთ: „გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნებისა, შუამდგომლობას იმ პირის ექსტრადიციის თაობაზე, რომელიც მოთხოვნილია სისხლისსამართლებრივი დევნის მიზნით, აგრეთვე უნდა ერთვოდეს: ა) მოსამართლის ან სხვა კომპეტენტური უწყების მიერ გაცემული დაკავების ან დაპატიმრების ორდერის ან ბრძანების ასლი; ბ) არსებობის შემთხვევაში, ბრალდების შესახებ დოკუმენტის ასლი; და გ) იმგვარი ინფორმაცია, რომელიც უზრუნველყოფს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ ძეზნილმა პირმა ჩაიდინა დანაშაული ან დანაშაულები, როდესაც ეს საჭიროა შუამდგომლობის მიმღები სახელმწიფოს კანონმდებლობით“. ამერიკის შეერთებულ შტატებს მსგავსი ჩანაწერი ასევე აქვს სხვა ორმხრივ საექსტრადიციო ხელშეკრულებებში, მაგალითისთვის იხ.: Protocol on the application of the Agreement on Extradition between the United States of America and the European Union to the Extradition Treaty between the Government of the United States of America and the Government of the Republic of Lithuania, signed 15 June 2005, Article 8(3); <<https://www.state.gov/wp-content/uploads/2019/02/10-201.14-Lithuania-EU-Extradition-Treaty.pdf>> [28.02.2025]. Extradition Treaty Between The Government of the United States of America and The Government of the Republic of Latvia, signed 7 December 2005, Article 7(3); <<https://2021-2025.state.gov/wp-content/uploads/2019/02/09-415-Latvia-Extradition-Treaty.pdf>> [28.02.2025]. Extradition Treaty Between The Government of the United States of America and The Government of the Republic of Estonia, signed 8 February 2006, Article 8(3). <<https://www.state.gov/wp-content/uploads/2019/02/09-407-Estonia-Extradition-Treaty.pdf>> [28.02.2025].

⁶⁵ საქართველოს კანონი „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“, 30-ე მუხლის, მე-6 პუნქტი, სსმ, 48, 09/08/2010.

⁶⁶ იქვე, მუხლი 30.

⁶⁷ King K.F., The Death Penalty, Extradition, and the War against Terrorism: U.S. Responses to European Opinion about Capital Punishment, Buffalo Human Rights Law Review, Vol. 9, №1, 2003, 161, 167-70.

⁶⁸ Asta B., International Extradition Law – European Court of Human Rights Develops Adapted Test for Life Sentence in International Extradition Context – Sanchez-Sanchez v. United Kingdom, Suffolk University Law Review, Vol. 56, № 4, 2023, 811, 821-822.

5. დასკვნა

კვლევით დადგინდა, რომ ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე, რიგი საკანონმდებლო ცვლილებები იქნება განსახორციელებელი. კერძოდ, ცვლილებას დაექვემდებარება შესაბამისი მუხლების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც დაუშვებლად მიიჩნევს საქართველოს მოქალაქის ექსტრადიციასა და, ასევე, ექსტრადიციის განხორციელებას იმ დანაშაულისათვის, რომლის ჩადენისთვის ინიციატორი სახელმწიფოს კანონმდებლობა სიკვდილით დასჯას ითვალისწინებს.⁶⁹

საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით, აღნიშნული ცვლილება შესაძლოა იყოს, როგორც ზოგადი ხასიათის, ასევე აკონკრეტებდეს, რომ იგი გავრცელდება მხოლოდ საქართველოსა და აშშ-ს შორის საექსტრადიციო ურთიერთობებზე; შემოთავაზებულ ვერსიათაგან ეს უკანასკნელია რეკომენდებული.

რამდენად უზრუნველყოფს ქართული მხარე შესაბამისი გარანტიების მოთხოვნასა და ამერიკული მხარის მიერ მათ აღსრულებას, დღეს ამის თქმა რთულია და წარმოადგენს ღია შეკითხვას, რომელზეც პასუხი პრაქტიკამ და სისხლის სამართლის სფეროში თანამშრომლობის პროცესში საქართველო-ამერიკის შემდგომმა ურთიერთობამ უნდა გასცეს.

ხელშეკრულების შესაბამისი მუხლის ანალიზით ასევე დადგინდა, რომ მტკიცებულებების წარდგენის თვალსაზრისით, მხარეთა განზრახვა არ არის ერთნაირი სტანდარტის გამოყენება. შესაბამისად, ამ მიმართულებით, საქართველოს ეროვნული კანონმდებლობა დარჩება უცვლელი, რაც აჩენს სასამართლო როლის გაძლიერების საჭიროებას ხელშეკრულების პრაქტიკაში ეფექტიანად განხორციელებისთვის.

მიზანშეწონილია კონკრეტული პრინციპების შემუშავება, მკაფიო სახელმძღვანელო მითითებების დადგენა და მოსამართლეთა სპეციალური მომზადება სხვადასხვა სტანდარტების მიხედვით არსებული გამოწვევების გადასაჭრელად. ამ გამოწვევების გადაჭრით საქართველო არა მხოლოდ გააძლიერებს შიდასახელმწიფოებრივ მექანიზმებს, არამედ საფუძველს შეუქმნის სამომავლო თანამშრომლობას საერთო სამართლის სხვა სახელმწიფოებთან და მოემზადება ევროპულ სამართლებრივ სისტემაში უფრო ღრმა ინტეგრაციისთვის.

ბიბლიოგრაფია:

1. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 31-33, 24/08/1995.
2. საქართველოს კანონი „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 48, 09/08/2010.
3. საქართველოს კანონი „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“, პარლამენტის უწყებანი, 44, 11/11/1997.
4. საქართველოს კანონი „სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების – სივდილით დასჯის სრული გაუქმების შესახებ“, პარლამენტის უწყებანი, 45, 21/11/1997.
5. საქართველოს კანონი „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ“, სსმ 26, 20/08/2003.
6. „საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ექსტრადიციის შესახებ ხელშეკრულება“.

⁶⁹ საქართველოს კანონი „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“, 21-ე და 22-ე მუხლები, სსმ, 48, 09/08/2010.

7. ხუციშვილი ქ., ექსტრადიციისა და დეპორტაციის საკითხი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მიხედვით, კრებულში: ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე კორკელია კ. (რედ.), თბილისი, 2006, 313, 334.
8. Vienna Convention on the Law of Treaties, United Nations Treaty Series, 1969, 1155.
9. European Convention on Extradition, European Treaty Series, 1957, 24.
10. Protocol №6 to the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms concerning the Abolition of the Death Penalty, European Treaty Series, 1983, 114.
11. Protocol №13 to the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, concerning the abolition of the death penalty in all circumstances, European Treaty Series, 2002, 187.
12. Protocol on the application of the Agreement on Extradition between the United States of America and the European Union to the Extradition Treaty between the Government of the United States of America and the Government of the Republic of Lithuania, signed 15 June 2005 <<https://www.state.gov/wp-content/uploads/2019/02/10-201.14-Lithuania-EU-Extradition-Treaty.pdf>> [28.02.2025]
13. Extradition Treaty Between The Government of the United States of America and The Government of the Republic of Latvia, signed 7 December 2005 <<https://2021-2025.state.gov/wp-content/uploads/2019/02/09-415-Latvia-Extradition-Treaty.pdf>> [28.02.2025]
14. Extradition Treaty Between The Government of the United States of America and The Government of the Republic of Estonia, signed 8 February 2006 <<https://www.state.gov/wp-content/uploads/2019/02/09-407-Estonia-Extradition-Treaty.pdf>> [28.02.2025].
15. 18 USC §§ 3181–3196.
16. Arnell P., Davies G., The Forum Bar in UK Extradition Law: An Unnecessary Failure, The Journal of Criminal Law, Vol. 84, №2, 2020, 142.
17. Arnell P., The Contrasting Evolution of the Right to a Fair Trial in UK Extradition Law, The international journal of human rights, Vol. 22, №7, 2018, 869.
18. Asta B., International Extradition Law – European Court of Human Rights Develops Adapted Test for Life Sentence in International Extradition Context – Sanchez-Sanchez v. United Kingdom, Suffolk University Law Review, Vol. 56, № 4, 2023, 811.
19. Bassiouni M. C., International Extradition United States Law and Practice, 6th ed., Oxford, 2014.
20. Beltran M. B., Martin A. N., Post 9/11 Trends in International Judicial Cooperation Human Rights as a Constraint on Extradition in Death Penalty Cases, Journal of International Criminal Justice, Vol. 10, №3, 2012, 581.
21. Blekxtoon R., Zsuzsanna D.R., The Decline of the Nationality Exception in European Extradition? The Impact of the Regulation of (Non-)Surrender of Nationals and Dual Criminality under the European Arrest Warrant, European Journal of Crime, Criminal Law and Criminal Justice, Vol. 13, №3, 2005, 317.
22. Cassese A., International Law, 2nd ed., Oxford, 2005.
23. Chhabra S., Nationality and Extradition, RGNUL Law Review, Vol. 4, №2, 2016, 1.
24. Clarke A., Terrorism, Extradition, and the Death Penalty, William Mitchell Law Review, Vol. 29, №3, 2003, 783.
25. Drake S. K., Dangerous Precedents: Circumventing Extradition to Implement the Death Penalty, Suffolk Transnational Law Review, Vol. 36, №2, 2013, 333.
26. Gregg R., The European Tendency toward Non-Extradition to the United States in Capital Cases: Treads, Assurances, and Breaches of Duty, Miami International and Comparative Law Review, Vol. 10, №1, 2002, 113.
27. Harkins and Edwards v. United Kingdom, [2012] ECHR.

28. *Hawkins K. R.*, The Promises of Torturers: Diplomatic Assurances and the Legality of Rendition, *Georgetown Immigration Law Journal*, Vol. 20, №2, 2006, 213.
29. *Hutchinson T., Duncan N.*, Defining and Describing What We Do: Doctrinal Legal Research, (2012) 17 *Deakin Law Review*, Vol. 17, №1, 2012, 83.
30. *Kester J.G.*, Some Myths of United States Extradition Law, *Georgetown Law Journal* Vol. 76, №4, 1998, 1441.
31. *Kester J.G.*, Some Myths of United States Extradition Law, *Georgetown Law Journal*, Vol. 76, №4, 1988, 1441, 1444-47.
32. *King K.F.*, The Death Penalty, Extradition, and the War against Terrorism: U.S. Responses to European Opinion about Capital Punishment, *Buffalo Human Rights Law Review*, Vol. 9, №1, 2003, 161, 167-70.
33. *Koh S. A.*, Core Criminal Procedure, *Minnesota Law Review*, Vol. 105, №1, 2020, 251.
34. *Langford P.*, Extradition and fundamental rights: the perspective of the European Court of Human Rights, *The International Journal of Human Rights*, Vol. 13, №4, 2009, 512.
35. *Lomio P. J., Spang-Hanssen H., Wilson G. D.*, Legal Research Methods in a Modern World: A Coursebook, 3rd ed., Copenhagen, 2011, 11.
36. *Parisi F., Ghei N.*, The Role of Reciprocity in International Law, *Cornell International Law Journal*, Vol 36, №1, 2003, 93.
37. *Plachta M.*, (Non-)Extradition of Nationals: A Never-ending Story?, *Emory International Law Review*, Vol. 13, №1 1999, 77, 97-98.
38. *Sorensen, J. S.*, The Interplay Between the Executive and Judicial Branches in Extradition, *Litigation*, Vol. 40, №4, 2014, 60.
39. *Staker C.*, Jurisdiction, in *Evans M.D. (ed.)*, *International Law*, 5th ed., Oxford, 2014, 299-01.
40. *Factor v. Laubenheimer*, (1933), 290 US 276, 287
41. *United States v. Rauscher*, (1886), 119 US 407, 414
42. *Soering v. United Kingdom* [1989] ECHR (Ser. A.).
43. *Mamatkulov and Askarov v. Turkey* [2005] ECHR.
44. *Othman (Abu Qatada) v. the United Kingdom* [2012] ECHR.
45. *Kirkwood v. United Kingdom* [1984] ECHR.
46. *Chahal v. the United Kingdom* [1996] ECHR.
47. <<https://www.supremecourt.ge/ka/cases>> [28.02.2025].
48. <<https://www.coe.int/en/web/conventions/full-list?module=declarations-by-treaty&numSte=024&codeNature=10&codePays=GEO>> [28.02.2025].
49. <<https://www.coe.int/en/web/conventions/full-list?module=signatures-by-treaty&treatynum=024>> [28.02.2025].
50. <https://www.echr.coe.int/documents/d/echr/cp_georgia_eng> [28.02.2025]
51. <<https://infocenter.gov.ge/blog/kandidatis-statusis-mnishvneloba-da-misi-praktikuli-sargebeli/>> [28.02.2025].